

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 257
2002 წლის 8 ოქტომბერი ქ. თბილისი

არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო
კავშირების მიმართ სანქციების გამოყენების წესის დამტკიცების
შესახებ

არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების უსაფრთხოდ და სტაბილურად ფუნქციონირებისა და მოსალოდნელი დანაკარგების მინიმიზაციის მიზნით, “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 59-ე და 73-ე მუხლების, აგრეთვე “არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ” საქართველოს კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიმართ სანქციების გამოყენების თანდართული წესი.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების გეღამხედველობის სამმართველომ განუხრელად უზრუნველყოს ამ წესების მოთხოვნათა შესრულება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მანაგაძე

არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო
კავშირების მიმართ სანქციების გამოყენების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების გეღამხედველობის განხორციელების შედეგად ამ დაწესებულებების საქმიანობაში არსებული პოტენციური სისუსტეების ან დარღვევების გამოვლენისას, მათი გამოსწორებისა და აღკვეთის აღეკვამური ღონისძიებების სახეობებს, მათ გამოყენებას, ასევე საეჭვო გარიგებების თაობაზე მონიტორინგის განმამხორციელებელი პირებისათვის „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2003 წლის 31 დეკემბრის N27 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიერ ინფორმაციის მიღების, აღრიცხვის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის შესახებ“ დებულების მოთხოვნების დარღვევისათვის შესაბამის სანქციებს. (15.06.2004 N 122)

2. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებში აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებს როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობითი გემოქმედების ზომებს.

3. ნებაყოფლობითი გემოქმედების ზომების გამოყენება ძირითადად ხორციელდება ისეთი არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ, რომელთა საქმიანობაც ხასიათდება გარკვეული ნაკლოვანებებით და მათი სერიოზულ პრობლემებად გადაქცევის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა გადაუღებელი რეაგირება. ნებაყოფლობითი გემოქმედების ზომებს მიეკუთვნება:

ა) ნაკლოვანებების მქონე არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საგარანტიო წერილი მის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების აღიარების და მათი გამოსასწორებელი ღონისძიებების დადგენილ ვადებში განხორციელების შესახებ;

ბ) წერილობითი შეთანხმება არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებასა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის დაწესებულების საქმიანობაში გამოვლენილი არსებითი ნეგატიური ასპექტების აღმოსაფხვრელად.

4. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ სავალდებულო გემოქმედების ზომების გამოყენება ხორციელდება იმის გათვალისწინებით, თუ:

ა) რამდენად სრულად ან დროულად ასრულებს მის საზედამხებველო მოთხოვნებს ეს დაწესებულება;

ბ) როგორია ამ დაწესებულებაში დარღვევების ხარისხი და რა მარალს განიცდის თავად ეს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება.

გ) რამდენად სრულად ან დროულად ასრულებს ეს დაწესებულება „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2003 წლის 31 დეკემბრის N27 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიერ ინფორმაციის მიღების, აღრიცხვის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის შესახებ“ დებულების, ასევე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თავიდან აცილების მიზნით შიდა კონტროლის განხორციელების თაობაზე ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. (15.06.2004 N 122)

5. სავალდებულო გემოქმედების ზომებს მიეკუთვნება:

ა) წერილობითი გაფრთხილება დადგენილ ვადებში კონკრეტული ნაკლოვანების (ნაკლოვანებების) აღმოფხვრის თაობაზე;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოსადმი მოთხოვნის წაყენება, რათა მოწვეულ იქნეს რიგგარეშე საგანგებო საერთო კრება დარღვევათა განსახილველად, მათი აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებების გასაგარებლად ან ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობის განსაახლებლად;

გ) აქტივების მრდის, მოგების განაწილების, დივიდენდების გაცემის, ხელფასის მრდის, ანაბრების მოზიდვის, პრემიებისა და სხვა ჯილდოების გაცემის შეჩერება ან შეზღუდვა;

დ) ინსტრუქციის (მითითების) გამოცემა, რომლის მიხედვითაც არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება შეაჩერებს ან შეწყვეტს ამა თუ იმ საქმიანობას და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადებში მიიღებს ზომებს დარღვევების და სხვა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

ე) საჯარიმო სანქციების დაკისრება დაწესებულებებისათვის;

ვ) ფულადი ჯარიმის გადახდევინება დაწესებულების იმ ხელმძღვანელებისათვის, რომლის ქმედებამ ფინანსური მარალი მიაყენა

დაწესებულებას;

ვ¹) საჯარიმო სანქციების დაკისრება დაწესებულებისათვის/ პასუხისმგებელი პირისათვის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თავიდან აცილების მიზნით შიდა კონტროლის განუხორციელებლობაზე. (15.06.2004 N 122)

ბ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ხელმძღვანელისათვის (ხელმძღვანელებისათვის) ხელმოწერის უფლების შეჩერება;

თ) დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღება;

ი) ლიცენზიის გაუქმება.

6. ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სავალდებულო ზემოქმედების ზომების გამოყენებას საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოში სათანადო მოთხოვნის შესახებ წერილის გაგზავნით, ხოლო „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზემოქმედების ზომების გამოყენებას – ადმინისტრაციული აქტის გამოცემით. (15.06.2004 N 122)

7. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას უფლება აქვს გაასაჩივროს საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტი ზემოქმედების ზომების გამოყენების თაობაზე. გასაჩივრების შემთხვევაში დაუშვებელია ამ აქტის მოქმედების შეჩერება საქმესთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების გამოგანამდე, თუ ეროვნული ბანკი არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას.

მუხლი 2. გერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ გერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი – არის კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული საწარმო, რომელიც მხოლოდ თავისი წევრებისაგან იღებს ანაბრებს, აძლევს მათ სესხს, ახორციელებს „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ კანონით ნებადართულ სხვა საბანკო საქმიანობას და რომლის უმთავრესი მიზანი არ არის მოგების მიღება;

ბ) გელაძმხედველობის განხორციელება – არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საქმიანობისადმი საქართველოს ეროვნული ბანკის მეთვალყურეობა ლოკუმენტური შემოწმებისა და ადგილზე ინსპექტირების გზით;

გ) აქტივები – არის დაწესებულების განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რე-სურსი, რომელიც წარსულის სამეურნეო მოვლენების შედეგია და რის საფუძველზეც დაწესებულება მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას;

დ) ღივიდენდი – არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საერთო კრების მიერ დადგენილი პროცენტის შესაბამისად მოგების განაწილება დაწესებულების პარტნიორებს (წევრებს) შორის, კაპიტალში მათ მიერ სრულად ინვენსტირებული წილის პროპორციულად;

ე) ანაბარი – არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების პარტნიორის (წევრის) მიერ შეტანილი ფულადი თანხა, რომლის საკუთრების უფლებას იძენს დაწესებულება და რომელსაც, როგორც წესი, ერიცხება პროცენტი;

ვ) ხელმძღვანელი – არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მართვის უფლების მქონე პირი;

ბ) ჯარიმა – არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შეუსრულებლობის ან დარღვევებისათვის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისათვის, ასევე მისი ხელმძღვანელებისათვის დადგენილი ოდენობით ფულადი თანხის გადახდის დაკისრება;

თ) წერილობითი ფორმა – არის კომუნიკაციის ნაბეჭდი ან ლითოგრაფიული ფორმა;

ი) გადახდისუნარიანობა – არის ფულადი სახსრების არსებობა უფრო ხანგრძლივი პერიოდის ფინანსური ვალდებულებების დროულად შესასრულებლად;

კ) აღმინისგრაფიული აქტი – არის ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ – „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საბეჭდო დონისძიების ამოქმედების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი;

ლ) უკანონო შემოსავალი – არის პირის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ფულადი სახსრები, სხვა ქონება ან ქონებრივი უფლებები, რომლებიც მან მიიღო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის (მათ შორის იარაღით ვაჭრობის, ნარკოტიკული დანაშაულების, გრეფიკინგის, ტერორიზმის) ჩადენის შედეგად, გარდა საგადასახადო და საბაჟო სფეროებში დანაშაულების ჩადენის შემთხვევებისა;

მ) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია – არის უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა (შექმენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა, ანდა ასეთი მოქმედების ჩადენის მცდელობა;

ნ) საექვო გარიგება – არის არასაბანკო სადეპოზიტო ოპერაცია, მიუხედავად მისი თანხის ოდენობისა, რომელზეც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი დაიღო ან შესრულდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით [არა აქვს დასაბუთებული ეკონომიკური (კომერციული) შინაარსი ან აშკარა კანონიერი მიზანი, არ შეესაბამება გარიგების მონაწილე პირის ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, შეუძლებელია გარიგების მონაწილე პირის იდენტიფიკაცია ან გარიგების თანხის წარმოშობის დადგენა და ა.შ.] ან რომ მისი მონაწილე რომელიმე პირი დაკავშირებულია ტერორისგ ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირებთან, ან რომ მისი მონაწილე რომელიმე პირის იურიდიული ან ფაქტობრივი მისამართი ან საცხოვრებელი ადგილი არის არაკოოპერირებად (არამოთანამშრომლედ) მონაში, ან რომ მისი თანხის გადარიცხვა ხდება ასეთ მონაში ან ასეთი მონიდან;

ო) საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური – არის „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს. (15.06.2004 N 122)

მუხლი 3. სავალდებულო და ნებაყოფლობითი საბეჭდო დონისძიებების გამოყენების განსაზღვრა და დოკუმენტურად გაფორმება

1. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ბეჭდოვანი დონისძიების სამართლებრივი საფუძველის მიერ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საქმიანობის როგორც დოკუმენტური, ისე ადგილზე შემოწმების პროცესში აღმოჩენილი ნაკლოვანებები და პრობლემები უნდა აისახოს შესაბამისად მოხსენებით ბარათში ან

შემოწმების თაობაზე აქტი, რომელიც მისი გაფორმებისთანავე განსახილველად წარედგინება, უპირველეს ყოვლისა, იმავე სამმართველოს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის განყოფილების უფროსს.

2. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის მიღებიდან ერთ დღეში მის წარმდგენ სპეციალისტებთან ერთად განიხილოს იგი, არსებული ნაკლოვანებებისა და პრობლემების გათვალისწინებით მოამზადოს და სამმართველოს უფროსს წარუდგინოს წინადადება სათანადო საზედამხედველო ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ ამა თუ იმ საზედამხედველო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე წარდგენილი წინადადება დაწესებულების საქმიანობაში არსებული პრობლემებისა და ნაკლოვანებების გათვალისწინებით მისაღები იქნება სამმართველოს უფროსისათვის, სამმართველოს თანამშრომლები ამზადებენ სათანადო დოკუმენტის (წერილი ან განკარგულება) პროექტს კურატორი ვიცე-პრეზიდენტისათვის წარსადგენად.

4. იმ შემთხვევაში, თუ სამმართველოს უფროსი არ ეთანხმება ზედამხედველობის განყოფილების უფროსისა და სპეციალისტის მიერ წარდგენილ წინადადებას, იგი ვალდებულია წარმოდგენილი წინადადება და პირადი მოსაზრება განსახორციელებელი საზედამხედველო ღონისძიების შესახებ გააფორმოს წერილობით და წარუდგინოს კურატორ ვიცე-პრეზიდენტს გადაწყვეტილების მისაღებად.

5. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ კონკრეტული საზედამხედველო ღონისძიების გამოყენების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით ზედამხედველობის სამმართველოს სათანადო სპეციალისტები ადგენენ შესაბამისად წერილის, ინსტრუქციის ან განკარგულების პროექტს, რომლებიც სათანადოდ გაფორმების შემდეგ ეგზავნება არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას.

მუხლი 4. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიმართ გამოყენებული საზედამხედველო ღონისძიების შესრულების მონიტორინგი

1. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველოს ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტები ვალდებული არიან:

ა) ყოველკვარტალურად არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისაგან მიღებული ანგარიშგებების საფუძველზე განახორციელონ მათ მიმართ შეფარდებული საზედამხედველო ღონისძიებებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი;

ბ) მონიტორინგის შედეგების თაობაზე წერილობითი ინფორმაცია წინადადებებით პერიოდულად წარუდგინონ თავიანთი განყოფილებისა და სამმართველოს უფროსებს.

2. მონიტორინგი შედეგებიდან გამომდინარე, სამმართველომ უნდა განიხილოს დაწესებულებების მიმართ საზედამხედველო ღონისძიების შერბილების, გაუქმების ან გამკაცრების საკითხი და წარუდგინოს წინადადებები კურატორ ვიცე-პრეზიდენტს სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად.

მუხლი 5. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისა და მათი ადმინისტრატორებისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრება და

გადახდევინება

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ხშირია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გედამხედველობის მიზნებისათვის დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შეუსრულებლობის ან დარღვევების ფაქტები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ საჯარიმო სანქციის გამოყენების თაობაზე წინადადებას ერთობლივად ამზადებენ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გედამხედველობის სამმართველოს ლიცენზირებისა და გედამხედველობის განყოფილებების სპეციალისტები და წარუდგენენ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილების მისაღებად.

2. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება დაჯარიმდება:

ა) თუ არ მოამზადებს და ეროვნულ ბანკს არ წარუდგენს საგედამხედველო ანგარიშგებას – 500 ლარით თითოეულ წარუდგენელ ანგარიშზე

ბ) თუ ჩაშლილია და მოუწესრიგებელია აღრიცხვა-ანგარიშგება – 1500 ლარით.

3. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების:

ა) მმართველი ორგანოს წევრების მიერ ყალბ ანგარიშზე ხელის მოწერა გამოიწვევს მათ დაჯარიმებას 500 ლარით;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესების დარღვევა გამოიწვევს ამ უბნისათვის პასუხისმგებელი ხელმძღვანელის დაჯარიმებას – 500 ლარით;

გ) ხელმძღვანელი, რომლის ქმედობამ (ქმედება ან უმოქმედობა) ფინანსური მარალი მიაყენა დაწესებულებას, დაჯარიმდება – 1500 ლარით.

4. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული აღმინისგრაფიული აქტი;

ა) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების დაჯარიმების თაობაზე მისი მიღებიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში ეგზავნება დაწესებულების ხელმძღვანელობას, ასევე ამ დაწესებულების მომსახურე კომერციულ ბანკს, თანდართული საინკასო დავალებით მისი ანგარიშიდან საჯარიმო თანხის ჩამოწერის მიზნით;

ბ) ამ მუხლის მე -3 პუნქტის შესაბამისად არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ხელმძღვანელების დაჯარიმების თაობაზე ინფორმაცია ეგზავნება დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელის ხელფასიდან ან მისი სხვა ანგარიშიდან საჯარიმო თანხის დაკავების მიზნით.

მუხლი 6. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის თაობაზე დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირებისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისათვის სანქციების დაკისრება

1. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება დაჯარიმდება:

ა) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თავიდან აცილების მიზნით კონგროლის განხორციელების თაობაზე ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის 1000 ლარით;

ბ) ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის საექვო გარიგების შესახებ ანგარიშგების დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის 500 ლარით.

2. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების:

ა) პასუხისმგებელი პირი, რომელიც სათანადოდ არ ასრულებს საექვო გარიგების თაობაზე ინფორმაციის მიღებასთან, აღრიცხვასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და დადგენილ ვადაში ანგარიშგების დანიშნულებისამებრ წარუდგენასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს დაჯარიმდება 500 ლარით;

ბ) აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც სათანადოდ არ ასრულებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თავიდან აცილების მიზნით შიდა კონტროლის განხორციელების თაობაზე ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, დაჯარიმდება 500 ლარით. (15.06.2004 N 122)